

# **Au-pair გერმანულ ოჯახში: „უფლებები და მოვალეობები“**

შინაარსი:

- I. Au-pair-ის შესასრულებელი დავალებები**
- II. უფლებები და მოვალეობები**
- III. ანკეტა, შუამდგომლობა ოჯახთან და საქმიანობა**
- IV. ჩამოსვლა, ქვეყანაში დარჩენის და მუშაობის უფლებების განსაზღვრებები.**
- V. საჭირო რჩევები**

## **I. Au-pair-ის შესასრულებელი დავალებები**

Aupair-ის ყოველდღიურ დავალებებში შედის:

- საოჯახო საქმიანობაში მიხმარება, სისუფთავის დაცვა, გარეცხვა და დაუთოვება.
- საუზმისა და მცირე კერძების მომზადება.
- მცირეწლოვანი ბავშვების მოვლა, სკოლაში ან ბაღში მიყვანა, მათზე თვალყურის დევნება, მათთან ერთად გასეირნება და თამაში.
- სახლის(ბინის) დაცვა და შინაური ცხოველების მოვლა.

Au-pair-ის დავალებებს არ განეკუთვნება მოხუცი და ავადმყოფი ადამიანის მოვლა.

## **II. უფლებები და მოვალეობები**

„ევრო შეთანხმება Au-pair-ის საქმიანობასთან დაკავშირებით“(EAüAB)-ს მოიცავს დადგენილებებს: ოჯახისა და Au-pair-ის უფლებების და მოვალეობების, სოც-დამზღვევის, ენის გაკვეთილების, სამუშაო და ცხოვრების პირობების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში არ მოხდა ამ „შეთანხმების“ დაკანონება, Au-pair-სა და ოჯახის ურთიერთობების მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილი დებულებები დღესდღეობით მაინც ძალაშია!

Au-pair-ის საქმიანობის ხანგრძლივობა 6-დან 12 თვემდე გრძელდება.

Au-pair საქმიანობის ხელშეორე დაწყება არ არის შესაძლებელი მაშინაც კი, როცა ამ საქმისთვის 1 წელი მთლიანად ამოწურული არაა.

## სამუშაო და თავისუფალი დრო

საოჯახო საქმიანობა არ უნდა აღემატებოდეს დღეში 6 და კვირაში 30 საათს (Babysitting-ის ჩათვლით). მოცემული საათების გადაჭარბების შემთხვევაში, უნდა მოხდეს გედმეტი საათების ძირითადი სამუშაო დროიდან დაქვითვა.

ოჯახს აქვს უფლება Au-pair-სგან მოითხოვოს მოცემული დავალების, განსაზღვრულ დროში შესრულება.

Au-pair-ის პირადი საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო, ოფიციალურ სამუშაო დროთ არ ითვლება(საკუთარი ოთახის ალაგება).

საოჯახო საქმიანობისთვის განკუთვნილი დროის განაწილება დამოკიდებულია ოჯახის ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაზე, მაგრამ ამავედროულად უნდა დადგინდეს ერთობლივად შეთანხმებული დღის რეჟიმი.

Au-pair-სთვის განკუთვნილია კვირაში სულ მცირე ერთი თავისუფალი დღე, რომელიც არ არის აუცილებელი ემთხვეოდეს კვირის ბოლოს, თუმცა ეს თავისუფალი დღე, Au-pair-ის სურვილისამებრ თვეში ერთხელ უნდა იყოს კვირა. გარდა ამისა Au-pair-ს უფლება აქვს სულ მცირე 4 თავისუფალი საღამო ჰქონდეს კვირაში.

## შვებულება

ერთწლიანი Au-pair-პროგრამა ითვალისწინებს 4 კვირიან ანაზღაურებად შვებულებას, დასაშვებია ამ დროს თვეში ორ სამუშაო დღეზე გადანაწილებაც. ხშირ შემთხვევაში ოჯახს Au-pair თან მიყავს დასასვენებლად.

თუკი Au-pair ვალდებულია ამ დროის განმავლობაში შეასრულოს გარკვეული სახის დავალებები(ბავშვების მოვლა, ძირითადი დროის ოჯახთან ერთად გატარება და ა.შ.), მაშინ ეს დრო არ ითვლება პირად შვებულებად.

მაშინ როცა Au-pair არ მიყვება ოჯახს შვებულებაში, მისი დასაქმება ახლობელ და ნაცნობ ოჯახებში დაუშვებელია.

## გერმანული ენის კურსები

თავისუფალ დროს Au-pair-ს აქვს საშუალება გაიაროს გერმანული ენის კურსები, ასევე მოინახულოს კულტურული ძეგლები და გაეცნოს ქვეყნის სხვა ფასეულობებს.

გერმანული ენის კურსებისა და კულტურული ღონისძიებების საფასურს, ოჯახი არ იღებს თავის თავზე(თუ ეს მისი სურვილი არაა).

## დაბინავება და მზრუნველობა

Au-pair-ის დაბინავებას და კვებას უზრუნველყოფს მასპინძელი ოჯახი. შესაბამისად Au-pair-ს გამოეყოფა თავისი ოთახი და ასევე აქვს უფლება იკვებოს ოჯახში არსებული სურსათით. გამონაკლის სპეციფიკური კვების შემთხვევაში(მარხვა, დიეტა), წინასწარ უნდა იქნეს ანკეტაში მითითებული.

## სამგზავრო და ჯიბის ფული

Au-pair-პროგრამის პირველ პლანზე უნდა იდგეს გერმანული ენის კურსების გავლა და მასპინძელი ქვეყნის გაცნობა-ათვისება. Au-pair-ის საქმიანობა ჩვეულებრივი ხელფასით ანაზღაურებადი არაა, იგი იღებს მხოლოდ ყოველთვიურ „ჯიბის ფულს“. ეს თანხა 260 ევროს შეადგენს, დამოუკიდებლად დავალებების ხანგრძლივობისა.

საქართველოდან გერმანიაში გამგზავრების და დაბრუნების საფასურს იხდის Au-pair.

## დამზღვევა

გერმანიაში ყონისას Au-pair ვალდებულია იყოს დამზღვეული (Au-pair Assekuranz). დამზღვევის საფასურს მთლიანად ფარავს ოჯახი.

## Au-pair საქმიანობის შეწყვეტა

Au-pair-ის საქმიანობა წყდება შეთანხმებული ვადის ამოწურვისთანავე (6-12 თვე). ოჯახის გამოცვლის შემთხვევაში, Au-pair-ი რჩება ოჯახში მანამდე, სანამ არ იქნება სხვა, შემცვლელი ოჯახი ნაპოვნი. ხოლო განსაკუთრებულ, მძიმე შემთხვევაში შესაძლებელია ხელსეკრულების ვადაზე შეწყვეტაც. წინააღმდეგობები, როგორცაა განსხვავებული ცხოვრების სტილი, განსხვავებული სუფრის გრადიციები, რომლებიც ხშირად თავიდანვე მრავალ პრობლემებს ქმნიან, გამოცდილების მიხედვით დროის მოკლე მონაკვეთში გადაწყვეტადია. თუ ჰარმონულად ცხოვრება ვერანაირად ვერ ხერხდება, მაშინ სააგენტო საჩქაროდ უნდა ეცადოს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

## III. ანკეტა, შუამდგომლობა და საქმიანობა

Au-pair-ის ასაკი, პროგრამის დასაწყისში მინიმუმ 18 და მაქსიმუმ 24 წელია.

ქორწინებაში მყოფ ადამიანებსაც აქვთ Au-pair-პროგრამით მუშაობის შესაძლებლობა.

აუცილებელია გერმანული ენის საყოფაცხოვრებო დონეზე ცოდნა. ანკეგა და ბიოგრაფია უნდა იყოს მუსტად და უშეცდომოდ დაწერილი. ანკეგაში ჩამაგრებული უნდა იქნეს ერთი საპასპორტო ფოტო.

ანკეგაში ჩაწერილი პასუხები უნდა შეესაბამებოდეს სრულ სიმართლეს.

Au-pair სააგენტო შეძლებისდაგვარად ეცდება ანკეგაში მითითებული მოთხოვნის შესაბამისი ოჯახის გამონახვას. Au-pair-ის მსურველი ოჯახების რაოდენობა გერმანიაში ღიძია.

მასპინძელ ოჯახში მინიმუმ ერთ წევრს უნდა გააჩნდეს გერმანიის, ევროკავშირის ან შვეიცარიის მოქალაქის სტატუსი. ოჯახში მშობლიურ ენას გერმანული ენა უნდა წარმოადგენდეს. ასევე შესაძლებელია Au-pair-პროგრამით საქმიანობა ისეთ ოჯახში, რომლის წარმომავლობაც რომელიმე გერმანულენოვან ქვეყანას უკავშირდება და სადაც სალარაკო ენა, შესაბამისად გერმანულია. გერმანიაში მყოფ Au-pair სააგენტოებს, გაწეულ შუამდგომლობისთვის შეუძლიათ მოითხოვონ ანამლაურება მაქსიმუმ 150 ევროს ოდენობით (სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით).

## **IV. ქვეყანაში შემოსვლა, ქვეყანაში ყოფნის და მუშაობის უფლების წინაპირობები**

### **Au-pair-ები არა ევრო-კავშირის ქვეყნებიდან.**

Au-pair-ებისთვის, არა ევრო-კავშირის ქვეყნებიდან, საჭიროა ვიზა ანუ ქვეყანაში გაჩერების უფლება. მასზე განცხადების შეგანა უნდა მოხდეს გამოძგზავრებაძდე. ქვეყანაში არსებულ საელჩოში ან კონსულატში.

ვიზის გაცემაძდე საელჩომ უნდა მიიღოს თანხმობა მასპინძელი ოჯახის საცხოვრებელი ადგილის უცხოელებთან ურთიერთობისა და დასაქმების უწყებებიდან. ვიზაზე განაცხადის შემგანის წლოვანება არ უნდა აღემაგებოდეს 25 წელს. საელჩოში განაცხადის შეგანა ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დროულად უნდა მოხდეს.

ხელშეკრულების თანახმად, Au-pair-მა ოჯახში საქმიანობა უნდა დაიწყოს ვიზაზე განაცხადის შეგანიდან არა უგვიანეს 6 თვეში.

ქვეყანაში ყოფნის უფლებას, საცხოვრებელი ადგილისდა მიხედვით კომპეგენგური უცხოელთა უწყება გასცემს. ასევე ამ დროისათვის უნდა არსებობდეს Au-pair სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა, მასპინძელ ოჯახში მუშაობის თაობაზე. ვიზის გასაგრძელებლადაც იგივე უწყებას უნდა მივმართოთ. Au-pair-ის საქმიანობის დაწყება ამ უწყების ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

ქვეყნის საზღვრების გადმოსაკვეთად და ამ ქვეყანაში განსაზღვრული დროით, კანონიერად დასარჩენად, აუცილებელი წინაპირობაა საკუთარი ქვეყნის ამ დროისათვის მოქმედი პასპორტი.

## V. სასიკეთო რჩევები

უმჯობესია მხოლოდ ერთ Au-pair სააგენტოსთან ურთიერთობის ქონა, რომელიც ხელს შეგიწყობთ, თქვენი Au-pair-ად ყოფნის განმავლობაში, მასპინძელ ოჯახთან პრობლემების მოგვარებაში. სხვა შემთხვევაში, მარტო მოგიწევთ ყველა მოსალოდნელ წინააღმდეგობას გაუმკლავდეთ.

თუ Au-pair სააგენტო ვერ ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს, შეგიძლიათ მიმართოთ მის ზემდგომ კომპეტენტურ ორგანოებს.

თუ თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ გერმანიაში განსაზღვრული დროით Au-pair-ად ცხოვრება, შეეცადეთ გულღიად შეხვიდეთ ურთიერთობაში თქვენს მასპინძელ ოჯახთან და გაიზიაროთ მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებები. ეცადეთ, გააუმჯობესოთ თქვენი გერმანული ენის ცოდნა, და მიზნად დაისახეთ ბევრი, ხშირად თქვენთვის უჩვეულო, მშვენიერი და ხანდახან რთული შთაბეჭდილებიდან ცხოვრებისათვის საჭირო გამოცდილება დააგროვოთ. სწორედ ეს იქნება თქვენი გერმანიაში შედეგიანად ყოფნის წინაპირობა.